




თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიების და განათების ინიციატივა

კორპორატიული ხელშეკრულება № 114-A-00-05-00106-00

თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტირება გაზრდილი ენერგოეფექტურობის დონით და ენერგოპასპორტის შემუშავება საავადმყოფოს ტიპური შენობისთვის ბორჯომში (პროექტირების ეტაპი)



აღნიშნულ ანგარიშში მოწოდებული ინფორმაცია არ არის აშშ-ს მთავრობის ოფიციალური ინფორმაცია და, შესაბამისად, არ გამოხატავს აშშ. საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ-ს მთავრობის პოზიციას.

ენერგო კასკორტის ანბარიში

თბოღაცვითი მახასიათებლების
პროექტირება გაზრდილი
ენერგოეფექტურობის ღონით და
ენერგოკასკორტის შემუშავება
საავადმყოფოს ტიპური შენობისთვის
ბორჯომში (პროექტირების ეტაპი)

დამკვეთი: ამერიკის შეერთებული შტატების
საერთაშორისო განვითარების სააგენტო

ჯორჯ ბალანჩინის ქ. 11
საქართველო, თბილისი

შესრულებულია: “თანამედროვე ენერგოეფექტური
ტექნოლოგიებისა და განათების ინიციატივის”
("ნათელი") მიერ საქართველო, თბილისი 0179

ი. ჭავჭავაძის მე-2 ჩიხი, №4/8
ტელ: +995 32 50 63 43
ფაქსი: +995 32 93 53 52

მომზადებულია მდგრადი განვითარების და პოლიტიკის ცენტრის მიერ
ვინროკ ინტერნეშენალისთვის

თბილისი,
აპრილი, 2011

სარჩევი

1	რეზიუმე	4
2	შესავალი	7
2.1	წინაპირობები.....	7
2.2	პროექტის განხორციელების პროცესი.....	8
3	პროექტის ორგანიზაცია.....	9
4	სტანდარტები და წესები.....	10
5	შენობის თბოდაცვითი დონის პროექტირება ენერგოპასპორტის პროგრამის გამოყენებით.....	10
5.1	შენობის თბოდაცვითი დონის პროექტირება გაზრდილი ენერგოეფექტურობით.....	10
5.2	ენერგოპასპორტის პროგრამაში გამოყენებული თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტირების მეთოდოლოგია.....	11
5.2.1	გარე კედლების თბოდაცვითი დონე.....	14
5.2.2	სახურავის თბოდაცვითი დონე.....	16
5.2.3	იატაკის თბოდაცვითი მახასიათებლები.....	17
5.2.4	ფანჯრების თბოდაცვითი მახასიათებლები.....	18
5.2.5	კარებების თბოდაცვითი მახასიათებლები.....	19
6	ენერგომოხმარება.....	19
6.1	ენერგიის საბაზო და ეფექტური მოხმარება, რომელიც ეფუძნება საავადმყოფოს შენობის შემომზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილ თბოდაცვით დონეს.....	19
6.1.1	საბაზო და ენერგოეფექტური მოხმარება ბორჯომის საავადმყოფოს შენობისთვის.....	20
6.2	ენერგომოხმარების გამოთვლა ენერგოპასპორტის შედეგებზე დაყრდნობით.....	21
7	ენერგოეფექტურობის პოტენციალი	24
8	რენტაბელურობის ანალიზი ენერგოეფექტურობაზე დაყრდნობით	25
8.1	შენობის შემომზღუდავი კონსტრუქციების გაზრდილი თბოდაცვითი მახასიათებლების ეკონომიკური გამოთვლები	25
8.2	ენერგოეფექტურობის რენტაბელურობასთან დაკავშირებული სხვა რეკომენდაციები.....	27
9	ეკოლოგიური სარგებელი.....	29
დანართი ა	30
დანართი ბ	43

1 რეზიუმე

საქართველოს მთავრობა აქტიურად უწყობს ხელს ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროგრამას, რაც გულისხმობს 1130 პაციენტზე გათვლილ 46 საავადმყოფოს აშენებას. მთავრობამ შეარჩია ის სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც ამ პროგრამას განახორციელებენ. ამ მიზნით გამოცხადებული ტენდერის პირობების თანახმად, გამარჯვებული კომპანიები ვალდებული არიან სადაზღვევო მოსმასურებით უზრუნველყონ ყველა ბენეფიციარი საქართველოს მასშტაბით, ასევე ააშენონ ახალი და/ან აღადგინონ ძველი საავადმყოფოები.

გამარჯვებულ კომპანიებს შორისაა “აი-სი ჯგუფი”, “ალიანსი-მედი პლიუსი”, “ირაო მედი” და “ჯიპიაი-ჰოლდინგი-კურაციო”. თავიანთი პროგრამის განხორციელებისას, ეს კომპანიები პროექტ “ნათელის” ფარგლებში ღებულობენ მხარდაჭერას, რომელსაც ხელმძღვანელობს “ვინროკ ინტერნეშენალი” და ხელს უწყობს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). ამ დახმარების მიზანია ახალ და აღდგენილ საავადმყოფოებში ენერგოეფექტური ინტერვენციების განხორციელება.

“ვინროკ ინტერნეშენალმა” ჯიპიაი ჰოლდინგი-კურაციო“-ს უკვე გაუწია დახმარება, ბაკურიანის, დუშეთის, საგარეჯოს და ყაზბეგი-სტეფანწმინდის არსებული საავადმყოფოების ენერგო აუდიტებისა და თიანეთის საავადმყოფოს ენერგო პასპორტის შემუშავებაში. არსებული ანგარიში განიხილება, როგორც ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროგრამის დახმარების გაგრძელება, რომელსაც “ვინროკ ინტერნეშენალი”- “ჯიპიაი ჰოლდინგი-კურაციო“-ს უწევს და რომელიც პროექტ “ნათელის” საქმიანობას თანხვედება.

“ვინროკ ინტერნეშენალმა” ქვეკონტრაქტორად აიყვანა “მდგრადი განვითარების და პოლიტიკის ცენტრი”, იმისათვის, რომ ამ უკანასკნელს დაეპროექტებინა ბორჯომის საავადმყოფოს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის ყველა სტრუქტურული ელემენტის თბოდაცვითი მახასიათებლები გაზრდილი ენერგოეფექტურობის დონით, აგრეთვე შეექმნა შენობის ენერგოპასპორტი ენერგოსერტიფიცირების რეგულაციული სისტემის გამოყენებით.






კლიმატური პარამეტრები შენობისა და მისი ენერგო მოხმარების თბოდანაკარგებს განსაზღვრავენ. შენობის შემზღუდავი კონსტრუქცია ან სტრუქტურა პირდაპირ მოქმედებს ამ პარამეტრებზე, რაც შიდა სივრცეების გარე პირობებისგან დაცვას გულისხმობს. შენობების თბური მახასიათებლების გაუმჯობესება, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე მნიშვნელოვან ამოცანად განიხილებოდა. მხოლოდ ახლახანს დავიწყეთ დაფასება იმისა, თუ რაოდენ საჭიროა შენობების გარე სტრუქტურის მშენებლობისას ენერგოეფექტური მასალებისა და პროდუქტების გამოყენება. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ ხელი შეუწყო მთელი რიგი მასალების, კომპონენტების და სისტემების განვითარებასა და წარმოებას, რომელთა ინტეგრირება ხდება შენობების ზღუდეებში და რამაც საკმაოდ რთული ხასიათი მიიღო.

დღესდღეობით საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ ახალი შენობების დაგეგმარებისა და დაპროექტების ეტაპებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შენობის სტრუქტურული კომპონენტების თბოდაცვითი მახასიათებლები. ამან გამოიწვია ინტეგრირებული საპროექტო პროცესის განვითარება, რომლის მიზანია სხვადასხვა გაზრდილი შემზღუდავი კონსტრუქციის ვარიანტებსა და სხვა სისტემებსა და კომპონენტებს შორის ურთიერთქმედების დამყარება. ღონისძიებების საბოლოო მიზანია შენობისთვის ოპტიმალური და კომფორტული მახასიათებლების მიღწევა, რაც ხელს შეუწყობს ენერგო მოხმარების შემცირებას გონივრული ღირებულების ფარგლებში. ასეთი ინტეგრირებული საპროექტო პროცესი მოითხოვს მთლიანი საინჟინრო ჯგუფის ერთიან ძალისხმევას, რომელიც არქიტექტორების, მშენებელი ინჟინრების და სამშენებლო თბოტექნიკოსი ინჟინრებისგან შედგება.

“მდგრადი განვითარების და პოლიტიკის ცენტრი” შენობის სტრუქტურული კომპონენტების თბოდაცვითი მახასიათებლების შეფასებას “ენერგოპასპორტის” ელექტრონული მოდელით ახორციელებს. ამ პროგრამაში მთელი შენობა განიხილება, როგორც ერთი მთლიანი სითბური ერთეული. ეს საშუალებას იძლევა შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის გაუმჯობესების და შესაბამისად გათბობის სისტემაზე დატვირთვის შემცირების მრავალი ვარიანტის განხილვისა. შენობის ენერგოსერტიფიცირება ამ გამოთვლებთან ერთად დამატებით გამოიყენება. ენერგოსერტიფიცირებას საფუძვლად უდევს კლასიფიკაციის კრიტერიუმები, რომელიც მომდინარეობს თბოდაცვითი მახასიათებლების საპროექტო გამოთვლებიდან. შენობის თბური ბალანსის განტოლების კომპონენტები გამოიყენება კუთრი ენერგომოხმარების შესამოწმებლად. “ენერგოპასპორტი” ერთი წლის განმავლობაში გათბობის სისტემის მთლიანი დატვირთვის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, მას შეიძლება გავლენა ჰქონდეს შენობით მოსარგებლეთა ენერგომოხმარების თავისებურებებზე.

“ენერგოპასპორტის” ელექტრონული პროგრამის სერტიფიცირების ნაწილი მოცემულია 1.1 ნახატში. ქვემოთ შეგიძლიათ ბორჯომის საავადმყოფოს თბოდაცვითი ღონის დაპროექტების შედეგები იხილოთ.

ნახატი 1.1. ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით მიღებული ბორჯომის საავადმყოფოს სერტიფიცირების შედეგები

შენობათა ენერგოეფექტურობის ტიპები რანჟირება, კჯ/(მ ³⁰ დღე)		დადგენილი ტიპი კჯ/(მ ³⁰ დღე)
ახალი და რეკონსტრუირებული შენობები		
 A ძალიან მაღალი <20		
 B მაღალი 20-36		<= B 24.38
 C ნორმალური 37-42		
არსებული შენობებისთვის		
 D დაბალი 43-71		
 E ძალიან დაბალი >71		

ბორჯომის საავადმყოფოს შემზღუდავი კონსტრუქციის ენერჯის დაზოგვის პოტენციალი მიღებული შენობის გაზრდილი თბოდაცვითი მახასიათებლების დაპროექტების შედეგად მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში, მისი უკუგების პერიოდსა (PB) და წმინდა მიმდინარე ღირებულების კოეფიციენტთან (NPVQ) ერთად:¹

ენერგოეფექტურობის პოტენციალი ბორჯომისთვის					
		გასათბობი ფართობი:		2333.0	ჯ
ენერგოეფექტური ღონისძიება	ინვესტიცია [ლარი]	წმინდა დანახოვი		უკუგების პერიოდი [წელი]	NPVQ *
		[კვტს/წ]	[ლარი/წ]		
შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილი თბოდაცვითი ღონე	81826	218343.6	11897	6.9	2.41

* 10.47 % რეალურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით

¹ ეკონომიკური გამოთვლები მომზადდა ENSI - ის ეკონომიკური პროგრამით.

ეკონომიკურ გამოთვლებში გამოყენებული 3.51% -რეალური საპროცენტო განაკვეთი მიღებულია 15.1 %-იანი ნომინალური საპროცენტო განაკვეთიდან და 11.2 %-იანი ოფიციალური ინფლაციის განაკვეთიდან.²

2 შესავალი

2.1 წინაპირობები

ენერგო უსაფრთხოებისა და ენერგო დამოუკიდებლობის ცნება მდგრადი განვითარების პრინციპების გაგებას ეფუძნება. ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯის გამოყენება ქვეყანათა უმრავლესობის მიერ სამომავლო განვითარების წამყვან პრიორიტეტებად განისაზღვრა.

სამშენებლო სექტორის თანამედროვე ტენდენციები თანხვდება გაზრდილ ენერგო ეფექტურობაზე დამყარებულ შენობის თბოდაცვით მახასიათებლებს, რამაც ასახვა ჰპოვა ინოვაციურ სამშენებლო ნორმებში გარკვეულწილად სპეციფიურ ენერგო მოხმარების კლიმატურ პირობებთან მორგებულ ღირებულებაში, რომელიც საჭიროა შენობის გასათბობად ერთი სითბური სეზონის პერიოდში. ახალი სამშენებლო კოდები გაზრდილი თბოდაცვითი მახასიათებლების დონით შენობების გარე სტრუქტურული კომპონენტებისთვის ბევრ განვითარებად და დსთ-ს ქვეყნებში იქნა აპრობირებული.

შენობის სტრუქტურული კომპონენტების ენერგოეფექტურობის დონემ უკვე ასახვა ჰპოვა ევროკავშირის დირექტივაში შენობების ენერგომახასიათებლების თაობაზე (2001/0098). ის ეფუძნება "გრადუს დღეების" მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს არსებული და ახალი შენობების ენერგო სერტიფიცირებას.

შენობის შემზღუდავი კონსტრუქცია ან სტრუქტურა მიმართულია შენობის გარე ელემენტებისგან დაცვაზე. მექანიკურ კონდიციონების სისტემასთან ერთობლიობაში, იგი ხელს უწყობს შიდა კლიმატური პირობების შენარჩუნებას და ამასთან აძლიერებს კლიმატურ კონტროლს. გარე ტემპერატურას, მზის რადიაციასა და შიდა ტემპერატურას შორის კავშირი, ისევე როგორც შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის თბური მახასიათებლები შენობის დონის ორიენტაციის, ფორმისა და ფანჯრების განლაგებით განისაზღვრება. ეს ყოველივე შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის ტექნიკური და ეკონომიკური პარამეტრების შეფასებას ითხოვს, რათა მოხდეს შენობის თბოდაცვითი მახასიათებლების ისევე როგორც გათბობის, ვენტილაციის და კონდიციონირების სისტემების პროექტირება.

შენობის სტრუქტურის ინოვაციური დაპროექტებას, დაფუძნებულს ენერგოეფექტურობაზე, შეუძლია გამოიწვიოს ენერგო მოხმარების შემცირება 40-50%. შედეგის მიღწევა შესაძლებელია, თუკი მშენებლობისას გამოყენებულ იქნება ენერგოეფექტური ბლოკები

² წლიური ინფლაციის განაკვეთი აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის საიტიდან: www.nbg.gov.ge.


(ერთ ერთფენიანი სამშენებლო სისტემა) ან მრავალფენიანი ფასადური სისტემა.

“ნათელი” პროექტის ფარგლებში შერჩეული იყო ბორჯომში მდებარე სააგადმყოფო მისი შემზღუდავი კონსტრუქციის თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტირებისთვის ენერგოეფექტურობის გაზრდილი დონით. ანგარიშში ასევე მოცემულია ენერგოპასპორტები, რომლებიც ამოწმებს სერტიფიცირების რეიტინგს ბორჯომის სააგადმყოფოს შენობისათვის.

დეტალური შეფასების შედეგები მოცემულია ანგარიშში.

2.2 პროექტის განხორციელების პროცესი

პროექტის განხორციელების პროცესი მოიცავს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის თბოდაცვითი მახასიათებლების დაპროექტებასა და ენერგოპასპორტის მომზადებას “ენერგოპასპორტის” ელექტრონული პროგრამის გამოყენებით. პროექტის განხორციელების მთლიანი პროცესი შედგება 6 მთავარი საქმიანობისგან, როგორც წარმოდგენილია გრაფიკში ქვემოთ.



3 პროექტის ორგანიზაცია

პროექტის/შენობის/ობიექტის სახელწოდება:	25 პაციენტზე გათვლილი საავადმყოფოს შენობა ბორჯომში
მისამართი:	თბილისი, საბურთალოს ქ. 32
საკონტაქტო პირი:	კობა ცხადაძე
ტელეფონი:	577 93 11 77 (მობილური)
ფაქსი:	-
ელფოსტა:	koba3344@gmail.com
როლი პროექტში:	სარგებლის მიმღები, “კურაციო” მიიღებს ბორჯომში 25 პაციენტზე გათვლილი საავადმყოფოს შენობის თბოდაცვითი დონის პროექტს, მის ტექნიკურ და ეკონომიკურ შეფასებას ენერგომომხმარებლის კუთხით და ენერგოპასპორტს საავადმყოფოს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის მინიჭებული კლასიფიკაციის სისტემით.
შენობის მფლობელი:	შპს-“კურაციო”
შენობის თბოდაცვითი დონის დაპროექტებისა და “ენერგოპასპორტის” პროექტირების საკონტაქტო პირი	კარინა მელიქიძე
მისამართი:	თბილისი, ალ.ყაზბეგის ქ. №34, ნაკვეთი № 3, ოთახი 104
ტელეფონი:	(99532) 2206773 (ოფისი)
ფაქსი:	(99532) 2420060
ელ-ფოსტა:	kmelikidze@sdap.ge ; kmelikidze@hotmail.com
ექსპერტი	კარინა მელიქიძე
ტელეფონი	593 14 62 54 (მობილური)
როლი პროექტში	პასუხისმგებელია შემზღუდავი კონსტრუქციის თბოდაცვითი მახასიათებლების დაპროექტებასა და ენერგოპასპორტის მომზადებას “ენერგოპასპორტის” ელექტრონული პროგრამის გამოყენებით

კონსულტანტი:	თენგიზ ჯიშკარიანი
ტელეფონი:	593 79 00 84 (მობილური)
როლი პროექტში:	შემზღვრავი კონსტრუქციის თბოდაცვითი მახასიათებლების დაპროექტების ჯგუფის წევრი
კონსულტანტი:	თამარ გოგია
ტელეფონი:	593 956 596 (მობილური)
როლი პროექტში:	პერლიტის წარმოების ინჟინერი

4 სტანდარტები და წესები

ქვემოთ განსაზღვრულია სტანდარტები და წესები, რომლებიც შეესაბამება ენერგოეფექტურობისა და მოდერნიზაციის ღონისძიებებს:

- შენობების თბოდაცვა SNIP 23-02-2003
- შენობების თბოდაცვითი ღონის დაპროექტება SP 23-101-2004
- სამშენებლო თბოტექნიკა SNIP II-3-79* -1996
- IECC საერთაშორისო ენერჯის კონსერვაციის კოდექსი 2009
- EN ISO 13790 2004 –ის შენობების თბოდაცვა - გაანგარიშების ევროპული სტანდარტი გასათბობი ფართობისთვის საჭირო ენერგომოსხარების განსაზღვრის მიზნით.
- სამშენებლო მასალის ფასები საქართველოს ბაზარზე (2010 – 2 ბლოკი) შემუშავებული საქართველოს მშენებლობის შემფასებელთა გაერთიანების მიერ (საქართველო, თბილისი, ა. ჭავჭავაძის 5).

5 შენობის თბოდაცვითი ღონის პროექტირება ენერგოპასპორტის პროგრამის გამოყენებით

5.1 შენობის თბოდაცვითი ღონის პროექტირება გაზრდილი ენერგოეფექტურობით

შენობის დაპროექტება გარე სტრუქტურულ კომპონენტებთან ერთობლიობაში ისევე როგორც შესაბამისი სამშენებლო მასალების შერჩევა შენობის ენერგომოსხარებას განსაზღვრავს, რასაც ემატება ისეთი ინოვაციური მიდგომები, როგორცაა შენობის ფორმის განვითარება კედლებთან, ფანჯრებთან, კარებებთან, იატაკსა და სახურავის სისტემებთან ერთობლიობაში, რაც შენობის თბოდაცვითი მახასიათებლების გაუმჯობესების საწინდარია.

ოპტიმალური თერმული წინაღობის R-სიდიდე მთლიანი შენობის თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტირების კონცეფციაზე დაყრდნობით ასევე მოიცავს მისი ყველა სამშენებლო კომპონენტის ოპტიმალური თბოგამტარობის კოეფიციენტების დადგენას, რასაც ემატება შენობის ნორმების დაპროექტების ინოვაციური მიდგომა, რაც უპირატესობას გაზრდილ თბურ მახასიათებლებს აძლევს, ითვალისწინებს რა “გრადუს დღეების” მიხედვით გამოთვლილ ენერგოეფექტურობას.

ბორჯომის საავადმყოფოსათვის თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტის შეფასება შესრულდა ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამის გამოყენებით, რაც მიზნად ისახავდა შენობის ყველა გარე კომპონენტის ოპტიმალური გაზრდილი R-თერმული წინაღობის სიდიდის განსაზღვრას. შეფასების საბოლოო მიზანია ამ შენობაში ენერგო მოხმარების შემცირების მიღწევა.

ის კლიმატური მონაცემები, რომელიც იყო გამოყენებული ”გათბობის გრადუს დღეების” (გგდ) გამოსაანგარიშებლად ენერგოპასპორტის ელექტრონულ პროგრამაში, აღებულია საქართველოს სამეცნიერო გამოყენებითი მონაცემების ცნობარიდან (ნაწილი 1). გგდ გამოთვლა მოხდა ზოგადი ფორმულის შესაბამისად:

$$\text{გგდ} = (t_{in} - t_{\text{heat.per}}) \times Z_{\text{heat.per}} \quad (1)$$

სადაც:

t_{in} - არის შიდა ტემპერატურა, °C;

$t_{\text{heat.per}}$ - საშუალო ტემპერატურა გათბობის პერიოდში;

$Z_{\text{heat.per}}$ - დღეების რაოდენობა გათბობის პერიოდში

ბორჯომში განთავსებული საავადმყოფოს გგდ ჩვენი გამოთვლებით განსაზღვრულია როგორც:

$$\text{გგდ} = (21 - 1.1) \times 179 = 3562$$

5.2 ენერგოპასპორტის პროგრამაში გამოყენებული თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტირების მეთოდოლოგია

ერთი გათბობის სეზონის განმავლობაში შენობის გათბობისათვის საჭირო ჰავაზე მორგებული ენერჯის კუთრი მოხმარების სიდიდე წარმოადგენს საკვანძო პირობას სათანადო ენერგოეფექტური ღონისძიებების განსაზღვრად. ენერჯის კუთრი მოხმარების პარამეტრი შემოთავაზებულია, როგორც სითბოს ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა გათბობის სეზონის განმავლობაში შენობის მთლიანი ფართობის კვადრატული მეტრის ან მოცულობის კუბური მეტრისათვის გრადუს დღეში, რომელიც იზომება კჯ/(მ²°Cდღე) ან კჯ/(მ³°Cდღე) - ში.

შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილი თბოდაცვითი მახასიათებლები განისაზღვრება ერთი გრადუსი დღის განმავლობაში ენერჯის კუთრი მოხმარებით და ეფუძნება ქვემოთ ჩამოთვლილ სამ პრინციპს:

- სტანდარტის შესაბამისი კუთრი თბური მოხმარების დონის დადგენა შესაფასებელი შენობის ტიპისთვის და გათბობის გრადუს დღეების გაანგარიშება შესაფერისი კლიმატური პირობებისთვის. საქართველოსთვის სტანდარტის შესაბამისი თბოდაცვის დონე დადგინდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის და ახალი რუსული და ევროპული ენერგოეფექტურობის ნორმების მიხედვით;
- დამპროექტებელს უნდა გააჩნდეს თავისუფლება, რომ მიაღწიოს ოპტიმალურ თბოდაცვით დონეს, რომელიც ეფუძნება მთლიანი შენობის ენერგომოხმარების მოთხოვნას, მისი ცალკეული ელემენტებისთვის სხვადასხვა ვერსიების შერჩევით. სტანდარტის შესაბამისი თბოდაცვითი დონის განსაზღვრა ხდება შემზღუდავი კონსტრუქციის ცალკეული ელემენტებისთვის შენობის მთლიანი ენერგომოხმარების მოთხოვნაზე დაყრდნობით. კონკრეტული პროექტის მიხედვით განისაზღვრება შენობის კუთრი თბური მოხმარების სიდიდე გათბობის სეზონისთვის. ენერგოპასპორტი შესრულებულია იმისათვის, რომ შედარდეს პროექტის კუთრი თბური მოხმარების სიდიდე სტანდარტის შესაბამის დონესთან შესაბამისობის დამტკიცების მიზნით.
- ხდება შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის მთლიანი თერმული წინაღობის გაანგარიშება, შედეგების შედარება განსაზღვრულ დონესთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტში ცვლილებების შეტანა.

ენერგოეფექტური შენობების თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტირებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი მთავარი პრინციპები:

- შენობის გეომეტრიული ფორმის შერჩევა, რომელიც შეამცირებს თბოდაცვას;
- საპროექტო მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს შენობის გარე ზედაპირის ფართობის მოცულობასთან შეფარდების შემცირებას;
- ენერჯის მოთხოვნის შემცირება თბოდაცვითი დონის გაზრდით ჰაერის გამტარობის შემცირების ჩათვლით;
- ჰაერის სათანადო მიმოქცევის უზრუნველყოფა ორგანიზებული ჰაერის შეწოვის საშუალებით;
- შენობის გათბობისათვის საჭირო ენერგომოხმარების მოთხოვნის დაკმაყოფილება მაქსიმალური ეფექტურობით.

ურთიერთკავშირი გარე ტემპერატურას, მზის რადიაციასა და შიდა ტემპერატურას შორის შენობის დონეზე განისაზღვრება მისი ორიენტაციით, ფორმით და შემზღუდავი კონსტრუქციის თბოფიზიკური მახასიათებლებით. შესაბამისად შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის კლიმატზე ორიენტირებულ პროექტს გააჩნია სითბური კომფორტული პირობების გაუმჯობესების და ენერჯის მოხმარების შემცირების დიდი პოტენციალი.

შენობის საპროექტო თბოდაცვითი დონის შეფასება იძლევა ნათელ სურათს მისი ენერგომოხმარებისა და თბოდაცვითი დონის რანჟირების შესახებ, ასევე, საფუძველს უყრის რეკომენდაციებს შემზღუდავი

კონსტრუქციის სხვადასხვა კომპონენტების შესაფერისი სამშენებლო მასალების/პროდუქტების შესარჩევად.

თბოდაცვითი მასასიათებლების გაზრდილი ენერგოეფექტურობით დაპროექტების შეფასება შპს “კურაციო“-ს მიერ ბორჯომში ასაშენებელი 25 პაციენტზე გათვლილი საავადმყოფოს შენობისათვის შესრულდა ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამის გამოყენებით. შენობის პროექტი (გეომეტრიული ფორმა) მოკლედ აღწერილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში 5.1.

ცხრილი 5.1

მოცულობით-გეგმარებითი პარამეტრები	სიმბოლო	საზომი ერთეული	მნიშვნელობა
გასათბობი ფართის მთლიანი სტრუქტურული მოცულობა	V_h	მ ³	8281
შენობის მთლიანი ფართობი	A_l	მ ²	2333
პალატების მთლიანი ფართობი	A_h	მ ²	
შენობის გასათბობი ნაწილის გარე კედლების მთლიანი ფართობი, მათ შორის:	A_e^{sum}	მ ²	3471.35
- კედლები, ფანჯრების ჩათვლით, აივნები, შესასვლელი კარები, ვიტრაჟები	A_{w+F+ed}	მ ²	1739.35
- კედლები	A_w	მ ²	1305
- ფანჯრები და აივნის კარები	A_F	მ ²	410.05
მათ შორის: ფანჯრები და აივნების კარები კიბისა და ლიფტის უჯრედში	A_{FA}	მ ²	0
- ვიტრაჟები	A_F	მ ²	0
- ერკერები	A_F	მ ²	0
- შესასვლელი კარები და ალაცაფის კარები	A_{ed}	მ ²	24.3
-სახურავები (გაერთიანებული)	A_w	მ ²	0
-სხვენის ჭერი (სხვენი არ თბება)	A_c	მ ²	866
-სხვენის ჭერი (გათბობით)	A_c	მ ²	0
- ჭერი ტექნიკურ სარდაფებში	A_f	მ ²	0
-სარდაფებისა და სათავსოების ჭერი, რომელიც არ თბება	A_f	მ ²	0
- გასასვლელებისა და ერკერების ჭერი	A_f	მ ²	0
-გრუნტზე განლაგებული იატაკი - სულ	A_f		866
ფანჯრებისა და აივნების კარების ფართობის თანაფარდობა კედლების ფართობთან ფანჯრებისა და აივნების კარების ჩათვლით: A_F/A_{w+F+ed}	ρ	--	0.24
შენობის კომპაქტურობა A_e^{sum}/V_h	k_e^{des}		0.42

შენობის ფორმა (გეომეტრიული ფორმა) გავლენას ახდენს შემზღუდავი კონსტრუქციის ზედაპირის მოცულობასთან თანაფარდობის კოეფიციენტზე, რომელიც განსაზღვრავს შენობის გარე ტემპერატურისა და მზის გამოსხივებისგან დაცულობის ხარისხს და შესაბამისად გავლენას ახდენს შენობასა და გარემოს შორის სითბოს ცვლის დონეზე. შენობის გეომეტრიული ფორმა წინასწარ შეფასდა ზემოთ აღწერილი “ოთხი ძირითადი პრინციპის” შესაბამისად. როგორც მოცულობით-გეგმარებითი პარამეტრების ცხრილიდან ჩანს, შენობის კომპაქტურობის კოეფიციენტი განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$k_e^{des} = A_e^{sum} / V_h = 3471.4 / 8281 = 0.42$$

სამშენებლო მასალა და პროდუქტების შეფასება შესრულდა შენობის ცალ-ცალკე თითოეული სამშენებლო კომპონენტისთვის. უპირატესობა მიენიჭა დაბალი თბოგამტარობის კოეფიციენტის მქონე მასალას – λ ვტ/მK. თბოგამტარობის კოეფიციენტი არის სამშენებლო მასალის სითბური კონტროლის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი შენობიდან სითბოს გადინების წინააღმდეგობის თვალსაზრისით. შეფასებისას გათვალისწინებული იქნა შემზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილი თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტირების მოთხოვნები.

გაზრდილი თბოდაცვითი მახასიათებლების პროექტირებას მოყვება შენობის მიერ სითბოს მოხმარების შემცირება, რაც მოითხოვს შემზღუდავი კონსტრუქციების (კედლების, სახურავის, სხვენის იატაკის, პირველი სართულის იატაკის) დამატებითი იზოლაციის და ენერგოეფექტური ფანჯრებისა და აივნების კარებების დამონტაჟების საჭიროების განხილვას (დაგმანული ვიტრაჟებიანი სათავსოების ჩათვლით).

5.2.1 გარე კედლების თბოდაცვითი დონე

პერლიტის ბლოკის თბოგამტარობის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება $\lambda = 0.148$ ვტ/მK იყო შემოთავაზებული გარე კედლებისთვის სისქით $\sigma = 0.39$ მ ოპტიმალური თბოდაცვითი დონის უზრუნველყოფის მიზნით. ეს კოეფიციენტი პერლიტის ბლოკისთვის იყო მოწოდებული სამთო მომპოვებელი კომპანია შპს “ფარავან პერლიტის” მიერ, რომელიც საქართველოს ბაზარზე პერლიტის ბლოკის მთავარი მწარმოებელია. პერლიტის ბლოკთან დაკავშირებულ გაანგარიშებების თაობაზე ცხრილ 5.2-ში მოცემულია ძირითადი ინფორმაცია ბორჯომში განლაგებული საავადმყოფოს ტიპური შენობისათვის, რომელიც შეიცავს პერლიტის ბლოკებით ნაშენი გარე კედლების გაანგარიშებას და ითვალისწინებს შენობის ორიენტაციას ქვეყნის მხარეების შესაბამისად.

ცხრილი 5.2

გარე კედლების ფართობი	მთლიანი	1305.0			U-თბოგადაცემის კოეფიციენტი (საშუალო)			0.35	მბ/მ ²
ორიენტაცია	ჩ	ჩ-დ	ა	ს-დ	ს	ს-ა	დ	ჩ-ა	
კედლის ფართობი მ ²	328.5		337.8		323.1		315.6		
მასალის ტიპი	პერლიტის ბლოკები		პერლიტის ბლოკები		პერლიტის ბლოკები		პერლიტის ბლოკები		
ბლოკების ზომა, სმ	39x19x19		39x19x19		39x19x19		39x19x19		
იზოლაციის ტიპი	-		-		-		-		
თბოტექნიკური გაანგარიშებით მიღებული კედლების თერმული წინაღობის კოეფიციენტი R გაზრდილი ენერგოეფექტურობის გათვალისწინებით	<p>პერლიტის ბლოკებით ახლად აშენებული კედლების მთლიანი თერმული წინაღობის კოეფიციენტის გამოთვლის დროს მხედველობაში იყო მიღებული შიდა და გარე ბათქაშის შრეები, თითოეული სისქით: $\delta = 0.02$მ. ჩვენ გამოთვლებში, გარე და შიდა ბათქაშის ფენებისთვის გათვალისწინებული იყო: გარე ბათქაშის ფენისათვის – ცემენტისა და ქვიშის ნაღესი სისქით: $\delta = 0.02$ მ, $\lambda = 0.93$ ვტ/მ K; შიდა ბათქაშის ნაღესი – კომპლექსური ნარევი, რომელიც შედგება ცემენტის, ქვიშისა და კირისგან სისქით: $\delta = 0.02$მ, $\lambda = 0.87$ ვტ/მ K. გარე კედლებში თბური ხიდების თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდირებულია შეერთების ადგილებში პერლიტისა და ცემენტის ხსნარით მოგლუვება სისქით: $\delta = 0.003$მ.</p> <p>კედლების მთლიანი თერმული წინაღობის კოეფიციენტი განისაზღვრა შემდეგნაირად: $R_0 = R_{in} + R_c + R_{out} = 1/8.7 + 0.02/0.87 + 0.39/0.148 + 0.02/0.93 + 1/23 = 2.84$ მ² °C/ვტ შესაბამისად, თბოგადაცემის მიახლოებითი კოეფიციენტი შეადგენს: $U = 1/2.84 = 0.35$ ვტ/მ²°C</p>								
ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით განსაზღვრული R - თერმული წინაღობის კოეფიციენტი	2.84								მ ² °C/ვტ

5.2.2 სახურავის თბოდაცვითი დონე

ბორჯომის საავადმყოფოს, რომელიც ამჟამად მშენებლობის პროცესშია აქვს სხვენი. სახურავის მთლიანი ფართობია: $F=866\text{მ}^2$

სახურავის თბოტექნიკური მახასიათებლების წინასწარი შეფასება ენერგო პასპორტის ელექტრონული პროგრამით შესრულდა. განისაზღვრა, რომ სახურავის თბოტექნიკური მახასიათებლები უნდა იყოს დაახლოებით $R_0=2.77\text{მ}^2\text{C/ვტ}$, რათა დააკმაყოფილოს საავადმყოფოს შემზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილი თბოდაცვითი მახასიათებლების საპროექტო მოთხოვნები. ამ მიზნის განხორციელებისთვის გადაწყდა სახურავის შემზღუდავი კონსტრუქციის დაპროექტება გაზრდილი ენერგო ეფექტურობის დონით.

ქვემოთ 5.3 ცხრილში მოცემულია გაანგარიშების შედეგები, რომელიც მოიცავს იზოლაციის განსაზღვრულ დონეს სახურავის ყველა ნაწილისათვის, საიზოლაციო მასალის ტიპის, ასევე სისქის გათვალისწინებით.

ცხრილი 5.3

სახურავი (ტექნიკური სართულის თავზე და დაპროექტებული ტერასების ქვეშ)				
სახურავის პროექტის ზოგადი შეფასება	რკინაბეტონის ფილა			
სახურავის მთლიანი ფართობი	866.0	\varnothing	U-თბოგადაცემის კოეფიციენტი (საშუალო)	0.36 ვტ/მ ² °C
სახურავის ტიპი	მასალის ტიპი მ1	იზოლაციის ტიპი მ2	მასალის ტიპი მ3	ფილის სისქე მ
სახურავი სხვენი	ა/რკინაბეტონის ფილა $\sigma_1=0.18$ მ, $\lambda=2.04$ ვტ/მ ⁰ K;	მინაბამბის საფარი ფოლგაზე $\sigma=0.10$ მ $\lambda=0.04$ ვტ/მK	ქვიშაცემენტის მოჭიმვა $\sigma = 0.02$ მ $\lambda=0.93$ ვტ/მK	მთლიანი ზოლაციის ფილის $\sigma = 0.30$ მ
თბოდაცვითი დონის დაპროექტება გაზრდილი ენერგოეფექტურობით მესამე სართულის ზემოთ მდებარე ფილისთვის(სხვენი) და პირველ სართულს გვადამყურე სახურავის ნაწილის	შენობის სახურავის გაზრდილი თბოდაცვითი მახასიათებლები ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით შესრულებული გათვლების შესაბამისად დადგინდა. განისაზღვრა, სახურავის თბოტექნიკური მახასიათებლები უნდა შეადგენდეს დაახლოებით $R_0=2.60$ მ ² C/ვტ რათა აკმაყოფილებდეს საავადმყოფოს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციის პროექტს გაზრდილი ენერგოეფექტურობის კოეფიციენტით. ჩვენს გამოთვლებში, სახურავის სამშენებლო ფენების ინდეტიფიცირება და შერჩევა ქვევიდან ზევით მიმართულებით დაწყებული რკინაბეტონის ფილიდან ბოლომდე: - წყალგაუმტარი ფენა; - მინაბამბის ფენა - $\sigma=0.10$ მ, $\lambda=0.04$ ვტ/მ ⁰ C; - წყალგაუმტარი ფენა; - ქვიშაცემენტის მოჭიმვა - $\sigma = 0.03$ მ $\lambda=0.93$ ვტ/მ ⁰ C;			

<p>R-თერმული წინაღობის კოეფიციენტის თბოტექნიკური გაანგარიშება სახურავისთვის</p>	<p>სახურავის კონსტრუქციის თერმული წინაღობის კოეფიციენტის R_0 განსაზღვრის მიზნით შესრულებული თბოტექნიკური გამოთვლები არ ითვალისწინებენ წყალგაუმტარ ფენებს, ამდენად ისინი პროექტში შეტანილია მხოლოდ სახურავის დატენიანებისგან დაცვის მიზნით. მთლიანი თერმული წინაღობის კოეფიციენტი სახურავის ყველა ნაწილისთვის განისაზღვრა როგორც:</p> $R_0 = 1/8.7 + 0.18/2.04 + 0.1/0.4 + 0.02/0.93 + 1/23 = 2.77 \text{ მ}^2\text{C/ვტ}$ <p>თბოგადაცემის კოეფიციენტი შეადგენს: $U = 1/2.77 = 0.36 \text{ ვტ/მ}^2\text{C}$</p>		
<p>ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით შერჩეული R-თერმული წინაღობის კოეფიციენტი</p>	<p>2.77</p>	<p>$\text{მ}^2\text{C/ვტ}$</p>	

5.2.3 იატაკის თბოდაცვითი მახასიათებლები

ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით შესრულებული გამოთვლებით განსაზღვრული იყო თერმული წინაღობის საპროექტო დონე იატაკისთვის: $R=4.78 \text{ მ}^2\text{C/ვტ}$. ამდენად, აუცილებელია იატაკის თერმული წინაღობის კოეფიციენტის გაზრდა $R=4.2 \text{ მ}^2\text{C/ვტ}$ დან ოპტიმალურ დონემდე $R=4.78 \text{ მ}^2\text{C/ვტ}$ -მდე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში 5.4 წარმოდგენილია თბოსაინჟინრო გამოთვლები, რომელიც ასახავს პირველი სართულისათვის შერჩეულ დამატებითი საიზოლაციო ფენებს.

ცხრილი 5.4

<p>იატაკი</p>				
<p>იატაკის პროექტის ზოგადი შეფასება</p>	<p>რკინაბეტონის ფილა</p>			
<p>იატაკის მთლიანი ფართობი</p>	<p>866.0</p>	<p>მ²</p>	<p>U- თბოგადაცემის კოეფიციენტი(საშუალო)</p>	<p>0.21 $\text{ვტ/მ}^2\text{C}$</p>
<p>იატაკის ტიპი</p>	<p>სარდაფის იატაკის ფილა</p>			
<p>იატაკის სამშენებლო მასალა</p>	<p>სარდაფის იატაკის რკინაბეტონის ფილა სისქით $\sigma=0.18 \text{ მ}$; $\lambda=2.04 \text{ ვტ/მ}^2\text{C}$</p>			
<p>თბოდაცვითი დონის დაპროექტება გაზრდილი ენერგოეფექტურობის კოეფიციენტით გრუნტზე განლაგებული იატაკისათვის</p>	<p>თერმული წინაღობის კოეფიციენტი სარდაფის იატაკისთვის გამოანგარიშებულ იქნა სპეციალური მეთოდოლოგიით, რომელიც გულისხმობს სტანდარტიზირებულ თერმული წინაღობის კოეფიციენტებს იატაკის სხვადასხვა ორმეტრიანი ზონებისათვის. ის განისაზღვრა როგორც $R_f=4.2 \text{ მ}^2\text{C/ვტ}$ და იყო მიღებული გადაწყვეტილება წინაღობის კოეფიციენტის $R_f=4.78 \text{ მ}^2\text{C/ვტ}$-მდე გაზრდის აუცილებლობის შესახებ.</p>			
<p>R-თერმული წინაღობის კოეფიციენტის თბოტექნიკური გაანგარიშება იატაკისთვის</p>	<p>საავადმყოფოს შენობის იატაკის კონსტრუქციის საიზოლაციოდ შერჩეული იყო შემდეგი სამშენებლო მასალა დაწყებული რკინაბეტონის ფილით (ქვემოდან-ზემოთ) $\sigma=0.18 \text{ მ}$, $\lambda=2.04 \text{ ვტ/მ}^2\text{C}$; წყალგაუმტარი ფენა; შლაკის და პემზის ფენა ან კერამზიტის შემავსებელი: $\sigma=0.08 \text{ მ}$, $\lambda=0.19 \text{ ვტ/მ}^2\text{C}$; ქვიშაცემენტის ფენა: $\sigma=0.04 \text{ მ}$, $\lambda=0.93 \text{ ვტ/მ}^2\text{C}$</p>			

	ფანერი პლიტა: $\sigma=0.02$; $\lambda=0.18$ ვტ/მ ² °C $R=4.2+0.04/0.93+0.08/0.19+0.02/0.18=4.78$ მ ² °C/ვტ თბოგადაცემის კოეფიციენტი შეადგენს: $U=1/4.78=0.21$ ვტ/მ ² °C		
ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით შერჩეული R-თერმული წინაღობის კოეფიციენტი	4.78	მ ² °C/ვტ	

5.2.4 ფანჯრების თბოდაცვითი მახასიათებლები

ბორჯომის საავადმყოფოს ტიპური შენობისათვის შერჩეულ იყო მეტალოპლასტმასის ფანჯრები ორმაგი შემინვით. ცხრილში 5.5 მოცემულია ამ ფანჯრების ზოგადი აღწერილობა და მათი ორიენტაცია ჰორიზონტის მხარეების მიმართ:

ცხრილი 5.5

ფანჯრების მდგომარეობის ზოგადი შეფასება					-		
ფანჯრების აღწერა					ტიპური საავადმყოფოს შენობისათვის იყო შერჩეული მეტალოპლასტმასის ფანჯრები ორმაგი შემინვით		
ორიენტაცია	მასალა ¹	სახეობა ²	ზომა A x B	ფართობი	რაოდენობა	სულ	U-თბოგადაცემის კოეფიციენტი
			<i>მ</i>	<i>მ²</i>	<i>ცალი</i>		<i>ვტ/მ²°C</i>
ჩა	მეტალო-პლასტმასა	2G	1.5x1.5 2.9x10.65	2.25 30.9	35 2	78.75 61.8	2.86
						Σ=140.55	
სდ	მეტალო-პლასტმასა	2G	1.5x1.5 2.9x6.9	2.25 20.0	33 2	74.25 40.0	2.86
						Σ=114.25	
ჩდ	მეტალო-პლასტმასა	2G	1.5x1.5	2.25	36	81.0	2,86
						Σ= 81.0	
სა	მეტალო-პლასტმასა	2G	1.5x1.5	2.25	33	74.25	2.86
						Σ= 74.25	
სულ				410.05	141		
მასალა ²	ხე (W), ალუმინი (Al), პლასტმასა (P), ფოლადი (St)						
სახეობა ⁵	ერთმაგი ჩარჩო (S), ორმაგი ჩარჩო (D), დაპრესილი მასალის ჩარჩო (B), ერთმაგი შემინვა (1G), ორმაგი შემინვა (2G), სამმაგი შემინვა (3G)						
R- თერმული წინაღობის კოეფიციენტი	0.35	მ ² °C/ვტ					

5.2.5 კარებების თბოდაცვითი მახასიათებლები

არქიტექტორისა და დამპროექტებლის მიერ ბორჯომის საავადმყოფოს შენობებისთვის შერჩეული ორმაგი შემინვის გარე კარებების აღწერა მათი ქვეყნის მხარეების მიმართ ორიენტაციის შესაბამისად მოცემულია ცხრილში 5.6.

ცხრილი 5.6

კარებების მდგომარეობის ზოგადი შეფასება				-			
კარებების აღწერა				შენობაში იქნება დაყენებული ორმაგი შემინვის მეტალო-პლასტმასის კარებები.			
კარებების მთლიანი ფართობი				24.3	შ		
ორიენტაცია	მასალა ²	სახეობა ⁵	ზომა AxB	ფართობი	რაოდენობა	სულ	U-თბოგადაცემის კოეფიციენტი
			მ	შ	ცალი		კვ/შ ² °C
ჩა	მეტალო-პლასტმასა	უქანგავი ფოლადი	2.7 x1.5	4.05	1	4.05	6.0
სდ	მეტალო-პლასტმასა	უქანგავი ფოლადი	2.7 x1.5	4.05	2	8.1	6.0
ჩდ	მეტალო-პლასტმასა	უქანგავი ფოლადი	0	0	0	0	0
სა	მეტალო-პლასტმასა	უქანგავი ფოლადი	2.7x1.5	4.05	3	12.15	6.0
მასალა ²	ხე (W), ალუმინი (Al), პლასტმასა (P), ფოლადი (St)						
სახეობა ⁵	ერთმაგი ჩარჩო (S), ორმაგი ჩარჩო (D), დაპრესილი მასალის ჩარჩო (B), ერთმაგი შემინვა (1G), ორმაგი შემინვა (2G), სამმაგი შემინვა (3G)						
R- თერმული წინაღობის კოეფიციენტი	0.17	შ ² °C/კვ					

6 ენერგომოხმარება

6.1 ენერგიის საბაზო და ეფექტური მოხმარება, რომელიც ეფუძნება საავადმყოფოს შენობის შემომზღუდავი კონსტრუქციის გაზრდილ თბოდაცვით ღონეს

ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით გამოანგარიშებული იყო ბორჯომის საავადმყოფოს ტიპური შენობის გათბობის სისტემის დატვირთვა ერთი წლის განმავლობაში. საავადმყოფოს შენობისათვის შემუშავდა ენერგოპასპორტის ორი ვერსია ენერგიის მოხმარების შედეგების შესადარებლად. პირველი ვერსიის ფარგლებში განიხილება ზოგადი მიდგომა, რომელიც დღესაც არსებობს საქართველოში – ე.ი. ჩვეულებრივი სამშენებლო პრაქტიკა – მძიმე ბეტონის ბლოკების გამოყენება ახალი შენობების ასაშენებლად, ზომით 400x200x200 მმ. არსებული სამშენებლო პრაქტიკა აგრძელებს ენერგოეფექტურობის მოთხოვნების უგულვებლყოფას შემომზღუდავი კონსტრუქციის კომპონენტების მიმართ, რომლებიც წამყვანი თბოტექნიკური ნორმებით არის განსაზღვრული (გარდა ორმაგი შემინვის მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრისა). მეტიც, ხშირად საბჭოთა სამშენებლო-

თბოტექნიკური ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნებიც კი ირღვევა. ენერგოპასპორტის ელექტრონული პროგრამით გამოთვლილი პირველი ვერსიისთვის ავიღეთ გათბობის სისტემის დატვირთვა, რომელიც ითვალისწინებს მძიმე ბეტონის ბლოკების გამოყენებას როგორც საბაზო ღონეს.


6.1.1 საბაზო და ენერგოეფექტური მოხმარება ბორჯომის საავადმყოფოს შენობისთვის

პირველ ვერსიაში მძიმე ბეტონის ბლოკებით ნაშენი გარე კედლების R თერმული წინაღობის კოეფიციენტი განისაზღვრა როგორც: $R_{\text{კედლები}} = 0.613 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C} / \text{ვტ}$. ეს მნიშვნელობა იყო მიღებული თერმული წინაღობის სავალდებულო კოეფიციენტიდან $R_{\text{საჭირო კედლები}}$, რომელიც მითითებულია ძველ საბჭოთა ნორმებში და გამოთვლილია ბორჯომის კლიმატური პირობებისთვის. სახურავის ფილისა და გრუნტზე განლაგებული იატაკის თერმული წინაღობის კოეფიციენტები შესაბამისად გამოთვლილი იყო შემდეგნაირად: $R_{\text{სახურავი}} = 0.92 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C} / \text{ვტ}$; $R_{\text{იატაკი}} = 4.2 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C} / \text{ვტ}$.

მეორე ვერსიაში, რომელიც ითვალისწინებს პროექტირების შედეგად საავადმყოფოს შემზღუდავი კონსტრუქციის თბოდაცვითი მახასიათებლების გაზრდილ ენერგოეფექტურობას. პერლიტის ბლოკის სისქე შეადგენს: $390 \times 190 \times 190 \text{ მმ}$, ხოლო მისი თბოგამტარიანობის კოეფიციენტი განსაზღვრულია, როგორც $\lambda = 0.148 \text{ ვტ} / \text{მ}^2 \text{ } ^\circ\text{C}$ შესაბამისად გარე კედლების თერმული წინაღობის კოეფიციენტი განისაზღვრა როგორც: $R_{\text{კედლები}} = 2.84 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C} / \text{ვტ}$, ხოლო სახურავის ფილისა და იატაკის როგორც: $R_{\text{სახურავი}} = 2.77 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C} / \text{ვტ}$; $R_{\text{იატაკი}} = 4.78 \text{ მ}^2 \text{ } ^\circ\text{C} / \text{ვტ}$ შესაბამისად.


ენერგოპასპორტის გამოთვლების შედეგები მოცემულია თბური ბალანსის კომპონენტების დიაგრამების სახით, სიმბოლოების შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობები მოცემულია დიაგრამის მარჯვნივ მდებარე ცხრილებში. (ნახ. 6.1, ნახ. 6.2).

სიმბოლოები - Q_{h^y} – აღნიშნავს მთლიან ენერგომოხმარებას, Q_t – თბოდანაკარგებს შენობის შემზღუდავი კონსტრუქციიდან თბოგადაცემის შედეგად, Q_v – თბოდანაკარგებს ინფილტრაციის შედეგად, Q_s და Q_i მზის რადიაციითა და შენობის შიდა სითბოს გამოყოფის შედეგად მიღებულ სითბოს.



Q_{h^y} , მჯ	1505084
Q_t	1383945
Q_v	268048
Q_s	-240725
Q_i	-180406

ნახატი 6.1 ენერგოპასპორტით გამოთვლილი თბური ბალანსის კომპონენტები ბორჯომის საავადმყოფოს ტიპური შენობის შემზღუდავი კონსტრუქციისთვის მიძიმე ბეტონის ბლოკებით (ვერსია 1 - საბაზო).





